

1937

ՅԱՐԱԲԵՐԴԻ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

N5

ՅԱՐԱԲԵՐԴԻ ՅԱՐԱԾԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ
ՅԱՐԱԲԵՐԴԻ ՅԱՐԱԾԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ
ՅԱՐԱԲԵՐԴԻ ՅԱՐԱԾԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ
ՅԱՐԱԲԵՐԴԻ ՅԱՐԱԾԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ
ՅԱՐԱԲԵՐԴԻ ՅԱՐԱԾԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



Digitized by
Georgian National Library

ღ. გენერალი

ისტორიული ქადაგები

2021

ასი წელი შესრულდა ქართველი გენიალური მწერლის, უდიდესი საზოგადო მოღვაწის, ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორის, ეროვნულ - განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან.

მთელი ნახევარი საუკუნე ილია სათავეში ედგა ქართველი ხალხის აზრისა და გრძნობას; მისი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც ერთი მტკიცნეული საკითხი. ილია ჭავჭავაძე თავისი ნათელი გონიერით გზას უნათებდა მაშინდელ ყრუ ეპოქაში მყოფ ქართველ ხალხს, სიტყვითა და საქმით ემსახურებოდა ქართველი ერის გამოფხიზლების ინტერესებს.

ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, რუსთიდან დაბრუნების დროს, მოხევესთან მეგობრულ საუბარში წამოაყენა ის იდეური პრინციპი, რომელიც უნდა გამხდარიყო ერთგვარ ქვაკუთხედად ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში. „მიგხედი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტკინიდან გულამდე ჩამიჩინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიგარხა. როდემდის დამრჩეს ეს ტკივილი გულში, რო-



...მას ცუდარ ვსტირით, რაც დამარცხლა, რაც უფყალოს დროთ ხელით დანოჭმულა; მოვიკლათ წარუსლ დროებზედ დარღი... ჩვენ უდღა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უდღა ჩვენი ვუგათ მყორბადი, ჩვენ უდღა მიმსცემ მომავალი ხალხს...

ი. ჭავჭავაძე

დემდის? ოქ, როდემდის, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწაწყალო, მომეც ამის პასუხი!

სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ვერ მიიღებდა პასუხს ამ კითხვაზე, რაღანაც ეროვნული შეგნება მაშინდელ თავად-აზნაურულ წრებში სავსებით დაცემული და მიწასთან გასწორებული იყო. ერთი ნაწილი ამ წოდებისა რუსეთის მონარქიის ყურმოქრილ მონად გადაიკცა, მეორე ნაწილი კი თაოქარიძეების მსგავსად გადაგვარდა.

გადაგვარების ეს პროცესი ილიამ გენიალურად ასახა „კაცია - ადამიანში“. ილია ხედავდა, რომ სამოციან წლებში ეკონო-

მიურმა, პოლიტიკურმა და სოციალურმა პირობებმა ქართველი ერის სხეულზე წარმოშვა საკმაოდ სერიოზული წყლული—ლუარსაბ თათქარიძის სახით; საჭირო იყო ამ წყლულისაგან დროზე განკურნება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ეროვნული სხეულის დაავადება. ილია, როგორც გენიალური ქირურგი, ეძებდა გზას, საშუალებას მკურნალობისათვის და კიდეც აღმოაჩინა. მოძრაობა, მოქმედება, შრომა,— აი რა მიაჩინა ილიას ერის გაჯანსაღების პრინციპად.

ილია წერდა: „თუ წუთისოფელს ერთი ბეჭო,

ანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდები ლეკი ნაბადსა". მოძრაობაში და მოქმედებაში ხედავდა ილია სიცოცხლის ნიშანწყალს. ლუარსაბ თაოქარიძეს სწორედ მოძრაობის, მოქმედების და შრომის უნარი აქლდა. ამაში ხედავდა ილია მისი დაღუპვის აუცილებლობას.

მაგრამ მხოლოდ თათქარიძეებით არ ამოიშურებოდა ეს ეპოქა. ამავე დროში ცხოვრობდნენ: კაკო, ზაქრო, გაბრიელი და მათი ბატონები. ილია ხედავდა, რომ ამ ორი წოდების ინტერესები რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა ერთი-მეორეს. ამიტომ, ილიას აზრით, პირველ რივში უნდა დამსხვრეულიყო ის კედელი (ბატონყმობა), რომელიც აშორებდა ერთმანეთს ჯე თრ წოდებას. ილიას აზრით, ბატონყმური ურთიერთობის დამსხვრევის შემდეგ, წოდებათა შორის დამყარდებოდა საქმიანი ურთიერთობა, აღდგებოდა ოდესაც ჩატეხილი ხიდი, გაიმარჯვებდა შრომის სუფევა, სადაც ეკლის გვირგვინით აღარ ივლიდნენ ერთობა, ძმობა და თავისუფლება.

ილიას აზრით, სამოცაიან წლებში გლეხობა ერთადერთი წოდება. იყო, რომლის გულშიაც ღვიოდა, ერთის მხრივ, ბატონყმობის ველური უღლისაგან განთავისუფლების იდეა და, მეორეს მხრივ, ეროვნული თვითშეგნება.

ამიტომა, რომ კაკო, ზაქრო, გაბრიელი, გორგი – თავიანთი შეგნებით-და კაცობრიული გრძნობით უდიდეს სიმაღლეზე დგანან თავიანთ გულქვა ბატონებთან შედარებით.

ბატონყმობის გადავარდნას თუმცა არსებითად არ შეუცვლია გლეხკაცის ეკონომიური ცხოვრება,



ზიათაშვილი, ადგილი, სადაც მოჰკლეს ი. ჭავჭავაძე

მაგრამ ამ აქტის შემდეგ ბატონს აღარ შეეძლო ყმას ისე მოქცეოდა, როგორც პირუტყები. გლეხობის ერთმა ნაწილმა თავად-აზნაურობამ მიწების ნაწილობრივ შესყიდვით გაიჩინა საკუთრება და დაიყო დამოუკიდებელი ცხოვრება. გლეხობის ამ ნაწილისათვის შრომა აღარ წარმოადგენდა ტანჯვის სინონიმს, არამედ იგი გახდა სამოგნებისა და ვაჟკაციობის სიმბოლოდ. მეორე მხრით თავად-აზნაურების ერთ ნაწილშიც გაიღვიძა მეურნეობისადმი, მაულისადმი სიყვარულის გრძნობამ. ეს მოშენტი ილიას დიდებულად აქვს მოცემული „ოთარაანთ ქვრივში“. ეს ნაწარმოები ქართულ ლიტერატურაში თავისი მხატვრული სიძლიერით და პრობლემების დაყენების სიღრმით დღემდე ინარჩუნებს მოულწეველი სიმაღლის ნიშანს.

„ოთარაანთ ქვრივში“ მთავარ გმირებად გამოყანილია არჩილი და კესო თავად-აზნაურების წრიდან, ხოლო ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი – გლეხობის წრიდან. ილია თავისი ნათელი გონებით აკეირდება ამ ორი წოდების ავკარგიანობას, კრიტიკული თვალით ზომავს არჩილისა და გიორგის, კესოსა და ოთარაანთ ქვრივის თვითეულ ნაბიჯს, გულთამხილავის წინაგრძნობით იხედება მათ გულში და, როგორც მიუდგომელი მსაჯული, საბოლოოდ მიღის იმ დასკვნამდე, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც კი წოდებათა შორის სავსებით ჯერ კიდევ ამ არის დანგრეული ის დიდი კედელი ბატონყმობისა, რომელიც ამართული იყო მათ შორის, რომ თავად-აზნაურულ წრებში კვლავ ცოცხლობს თაყვანისცემა გვარიშვილობისა, წოდებისა; არის ტოკრატიული წოდება ვერ აფასებს იმ სინდისსა და ნამუსს, რომლის მატარებელიც მხოლოდ გლეხობაა. ილია ჭავჭავაძემ არჩილის სახით საბრალმდებლო განაჩენი წაუკითხა თავად-აზნაურულ წოდებას და დაანახვა მათ, რომ შეუძლებელია ამ გზით ჩატეხილი ხიდის, აღდგენა; ამავე დროს აგრძნობინა ამ წოდებას მისი გონებისა და გულის სიცარიელე, გამოფიტვა. ამ ნიადაგზე, ილიას



... გაშინ კი, როცა ზამომილია
და მოცულეა სალა, როზგი დამიკრეს, —
თვალთ დამიგრელდა, აგანთო გული,
მივვარდი თოვსა გამოგარებული,
მხრიდან გადაიგდო გაშინება თება
და, რო ყვიროდა: „დაჲპარ, დაჲპარი!“
მაშინ ჩემ თოვსაც გამოიჭერა
და შეუცნარია გულის-ფიცარი —
იმ ჩემს ჩატონდა, ჩემს დაღუპვებელსა,
თავის — თავის და სხვის ზამზებელელსა.

ი. ჭავჭავაძე.

აზრით, არისტოკრატიული წოდება დამბლა და დუნეა, მაშინ, როდესაც გლეხობა თვით ბუნების მიერაა ჩაკირული და გვირისტად შეკერილი.

ამიტომ უკვირს არჩილს, თუ საიდან დაიწნა გლეხობაში ისეთი კაცი, როგორიც იყო გიორგი, ან ისეთი დედაკაცი, როგორც ოთარაანთ ქვრივია, ან საიდან წარმოიშვა მათში ის „დიდი მადლი“, რომელიც ამ ორი ადამიანის გვამშია მოთავსებული. ილიამ მართლმსაჯულის პირით უთხრა როგორც არჩილს, ისე მთელ მის წოდებას, რომ გიორგიცა და ოთარაანთ ქვრივიც თვით ცხოვრებამ წარმოშვა. შრომამ, მოქმედებამ და მოძრაობამ გააკეტილშობილია ეს ადამიანები. თვით ბუნებამ მისცა მათ სინდისი და ნამუსი, რომელიც გიორგიმ მოციქულად გაიხადა არჩილთან ურთიერთობაში, მაგრამ ვერც არჩილი და ვერც კესო ვერ მიუხვდნენ (ან, უკეთ, არ უნდოდათ მიხვდომოდნენ) ამას. ამ „ვერ მიხვედრაში“ ხედავდა ილია იმ მტრობასა და შურს, რაც ღრმად ჩანერგილა ორივე წოდებაში. მთავარ ბრალდებულად ამ უკულმართ საქმეში ილიას თავად-აზნაურობა გამოყავს. ილია ჭავჭავაძემ ამავე საკითხების გარკვევას მოანდომა თავისი ჭეშმარიტად გენიალური პოეზია; მისი ლექსები და პოემები ხომ საუკეთესო გზაა იმ დიდ ლაბირინტში შესასვლელად, სადაც ყმისა და გლეხის ლიტონი ბედი ვერ სძლებ-

და ბატ'ონის ველურ ხელში, სადაც კაცომლყვავებობისა და სათნოების ნაცვლად დაბუღეტულის ჟყაფი მტრობა და შური, ცილისწამება და შესუსტებულება გაუტანლობა და სიმუხტოლე. მაგრამ ილია, როგორც დიდი ადამიანი, ხედავდა, რომ ძველი ქვეყანა თან-დათან ინგრეოდა და ახალ ნერგზე ახალი ცხოვრება იჩრდებოდა. ამიტომ მოუწოდებდა იგი საყირის ხმით მთელ ქართველ ხალხს:

„მოვიყლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

ამ რწმენითა და ამ იმედით მოკვდა დიდებული მეოსანი.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდი ზეიმით აღნიშნავენ ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლის თავის შესრულებას.

სტალინური ეპოქის მამაცი შეიღები დიდი სიყვარულით მოიგონებენ ილია ჭავჭავაძეს მისი დაბადების ასი წლის თავზე. წარსული ეპოქის ამ უკეთილშობილესი მგონის სსოფლა ჩვენი თაობის შეგნებაში მეცნიერებით აღდგება, ხოლო მისი გენიალური მექანიზრება უკვდავი იქნება სოციალისტურ სამშობლოსთან ერთად.

გ6. აბებიძე

ქავებულებები

ასი ზლის ზინათ ის დაიგადა,
არ დაჲვენი გზები გარდებად,
სამდენი მჯემებიც იძრავლის ანგანს,
იგი იმდენჯერ დაიგადება!
საკართველოში, გამენის ღლილპა,
ბაზრებაც კი იცის მისი სახელი,
მისი ნათელი აზრები გვიჩრდება,
აპვანს გვირჩებდა ღინჯი კახელი.
ის უმღერდა მაშულს იგადით,
ხედავდა გულებს ჯავრით აშშილებს,
გაიზიარა ჩანელულის გაღი
და ლექსი უთხრა გლავის გვილებს.
მოვიდა ზვარლის მაღალ მოებიდა,
ნახა ბრძოლისთვის ხალხი ავღარი,
გავიდა ხალხში და დაემკიდრა
ქართული ცეტების გაირალობი.
ასი წლის ზინათ ის დაიგადა
არ დაჲვენი გზები გარდებად,
რამდენი გავშვიც იძაგლის ანგანს,
იგი იმდენჯერ დაიგადება.

გაიგოდ აკოსია

პეტრ ლიტვა

მთების კალთებზე ეტლი გარბოდა,
 სამჯერ შეჩერდნენ ცხენები გზაში.
 ილია გულში ლექსებს ამბობდა,
 მტკვრიდან ესმოდა ტალღების ტაში.

გულს უამებდა ქარის ნანინა,
 სიცოცხლის ფეთქვა აგვისტოს დილით.
 წვიმამ მზეს პირი დააბანინა,
 ცახცახა ფოთლებს დაუფრთხო ძილი.


მშრომელის ხელით დანამშვენები
 ჩანდნენ მინდვრები მოსავლით საესე,
 მიფრუტუნობდნენ გიური ცხენები,
 მიჯირითობდნენ მოკენჭილ გზაზე.

თვლემდა მიდამო გადანამული,
 მდელოს აშრობდა მზის ნელი სითბო.
 არ თავდებოდა გზა — წიწამურის,
 აგვისნებდა შეეტლეც თითქოს...

უკან რჩებოდა კონუსი მთების,
 საგურამომდე გზა დარჩა მოკლე,
 მაგრამ მიმავალთ დაუხვდნენ მტრები
 და პოეზიის არწივი მოჰკლეს.

თითქოს ქარისგან წაიქცა ნაძვი
 და დაიგმინა მწვანე მინდოორში.
 დალუპეს ნიჭი, ძვირფასი განძი
 ჯალათ ხელმწიფის დაწყევლილ დროში.

მოჰკლეს... ბერდანამ დაიგრიალა,
 მაგრამ ვერ შესძლეს იმის გავება,
 რომ დარჩა მგოსანს ოქროს საუნჯე,
 რაც არასოდეს არ იქანება.



ნიკოლოზ

გოსტამაბიშვილი



საახალწლო მოთხრობა



I

ახსოვს, როცა პატარა ვიყავი, რა გულის ფანცქალით ვნატრობდი წინა - ღამე ახალის წლისა მალე გათენდეს - მეოქი. მე მახსოვს ეს წინა - დღე, ეს წინა - ღამე ახალის წლისა ჩვენს პატარა სოფელში, საცა ბლარტებსავით გარს ვეხვინით დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმნი. იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაჯანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტომა და სირბილი. თვალი და გული ხვალისაქნ მიგვირბოდა, ხვალეს ველოდით, ხვალე გვახსოვდა, ხვალეს ვნატრობდით. გარეთ რა გვინდოდა, როცა შინ იმოდენა ხილ-ხული და ტკბილეულობა. გვეგულებოდა. შინ ოთახებში დავფუსტუსებდით: იქ იყო, რაც იყო. აქ ალვახახსა ჰელდნენ, იქ ნუშა და ნიგოზს არჩევდნენ გოზინაყისათვის, აქეთ უცეცხლო თაფლი თითს გვიქნევდა მოდით პირი ჩაიტებანურეთო, იქით დედა-ჩვენი ბუხარში თაფლს აღნობდა და თაფლი თითქო გვეუბნებოდა: დაიცადეთ ხვალამდე, დღ ს მე თქვენთვის ვდინბიო. ჩვენ თვალებ-დაჭყეტილები ამაებ — შორის დაგვერებოდით და ბედნიერები ვიყავით, თუ როგორმე მოვასწრობდით და თითს ამოვავლებდით თაფლს, სიცილს, ხარხარს და დედის უგულოდ, ტყუილად ჯავრობას ბოლო არა ჰქონდა. ჩვენც ვიცოდით, რომ არც დედა, არც მამა გულით არ გვიჯავრდებოდნენ და ხელებს ვაფაცურებდით, აცა რამ მოვიცხოთ სალოვავად. ყველაზე უფრო სი ჩვენში თორმეტს წელს არ იყო გადაცილებული.

მას აქეთ ბევრმა წყალშა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დაგვეხოცა დედ-მამა, მომიკვდა ორი ძმა, გადამეცვალა ერთი დაცა. დაერჩით ამ ქვეყნიერებაზედ მარტო ორნი დაძმნი. ეხლა ერთსაცა და მეორესაც თმაში გალარა გვირვეთ, და როცა ახალი წელიწადი მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანის თვალით უკან მიმახედებს ხოლმე. ვხედავ ჩემს თავს ჩემს პატარა სოფელში. ჩემს პატარა ფუნქულა და-ძმებს შორის. ვხედავ როგორ დაგვხარიან შვალებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშურის სიხარულითა დედას, მამას, მესმის ტრედივით უგუნური ტიტინი ჩემის პატარა დისა, პატარა ძმისა, მომესმის ჰეჭადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედა-ჩემისა, მამი-ჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარი. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, საცა ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარელაა და ამ სამარებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ეხლა გული მეწვის, გული მედაგება. იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, — და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა, ესე იგი, იგი ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის დღეში არ მომიბრუნდება.

წავიდა ის ბედნიერი დრო და აღარ მოვა. წავიდა და გული ჰქონესის რაღაც სხვანაირ ტკივილისა, რაღაც სხვანაირ მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ ადამიანი სიხარულზედაც არ გასცვლის ხოლმე. ტკბილია ქვნესა ამ ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა, აქ კვნესა ნიაქსავით აგ-



...იქით დედა-ჩვენი ბუხარში თაფლს ადნობდა და თაფლი თითქო გვეუბნებოდა: ტაიცადეთ ხვალამდე, დღეს მე თქვენთვის ვდნებით.

○ ○ ○

როლებს გულის—წვასა და ცრემლი პნამავს გადამჭვნარ გულსა გამოსაცოცხლებლად. ვიღამაცა სთქვა: დატებობა საამური ტკივილიაო, და სწორედ ამისთანა ტკივილია ეს ტკივილიცა.

ყველაზე მეტად დამახსოვრდა ერთის ახალის წლის წინა-ლამე. ჩვენ, პატარებს, არ ვიცი, ხვალის ლოდინისაგან, თუ მეტის-მეტ გართობისაგან, ძილი აღარ მოგვეკიდა. არა ერთხელ და ორჯერ გვიბრძანს დედამ: წადით, შეილებო, დაიძინეთო, და ჩვენ კი თითით ყელს გუწევლით და ისე ვეხვეწებოდით: დედას ჭირიმე, ნუ გაგვრეკავ, არ გვეძინებაო. დედა გოზინაყებისა და ალვახაზის სამზადისში გართული იყო, გარს ჯამები, ბარიები და ტაბაკები ედგა ნუშით, ნიგოზით და თაფლითა. მამა-ჩვენი კი ბოლთასა სცემდა რთაშით ჩიბუხით ხელში. ჩვენმა პატარა დამ, რომ დაუცუნებდა ჯამებსა და ტაბაკებს შორის, როგორლაც ფეხი წამოჰქრა ერთს უშველებელს ბადიას და შიგ ყოფილი თაფლი კი პირქვე წამოაჭირა. დედას ძალიან ეწყინა და არ იყო რომ გაჯვერებით უთხრა მამას: ერთი თავიდან მომაშორე, ლვთის გულისათვის, ეს ბაჯაჯლანები!... გაასხი იქით რთაშით. ზღაპარი რამე უამბე, იქნება დაიძინონო და მომავენონო. მამა-ჩემეა ძალიან კარგი ზღაპრები იცოდა და ჩვენც ძალიან გვიყვარდა ყურის-გდება ზღაპრისა. გვიამა, რომ დედამ დაავალა მამას ზღაპარი ეთქვა. მივცვივდით ჩვენც, ზოგი ხელზე ჩამოვებობდენით, ზოგი ახალუხის კალთაზედ.

— შენი ჭირიმე. მამილო, ზღაპარი გვითხარი, — შევბლავლეთ აქეთ-იქიდამ, — დედა აქედამ გვერეკება და შენ ზღაპარი მაინც გვითხარ, არ გვეძინება.

— ბატონი ხართ, აბა, შავიდეთ.
მამა გავიდა მეორე რთაში ურმილული და ჩვენც გავყვით. უბრალო რთაში ბუხარს ერთი ამბავი გაჭქონდა აპრიალებულის ცეცხლისაგან. ბუხრის პირდაპირ ერთი გრძელი ტახტი იდგა, ავიდა მამა-ჩვენი, ტახტზე მოიკეცა. ჩვენ გარშემო შემოვუსხედით. ჩვენი პატარა და გულდალმა შემოუწვა მამასა, იდაყვებზე დაებჯინა, თავისი პატარა თავი ხელებზე დაანდო და ისე შეაჭყიტა მაყვალსავით შევითვალები, თოთქო მართლა ზღაპრის მოსმენა უნდოდა. ის კი არა თუ, როგორც იმას, ისეც იმაზედ მომდევარს მესამე ძმას მაშინვე ჩაეძინებოდათ ხოლმე ორიოდე სიტყვის შემდეგ.

მამამ დაიწყო:

„მე აღრევაც მიაბნია, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან ემტერებოდნენ თათრები. მოსვენებას არ გვაძლევდნენ, ხან აქედან, ხან იქიდან მოგვესოდნენ ხოლ-

მე. ჩვენც, რაც შევეძლო, რაც ძალი და ლონე გვქონდა, ვებრძოდით, ვეომებოდით. ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტკუნოს და თავი არ გამოიმეტოს. ბევრიც იმეტებდა თავს და ბევრმაც სახელი დაიგდო, სახელი გაითქვა თავისის ვაუკაცობითა და ქვეყნისათვის თავდადებით. აი, ერთი ამისთანა ვაჟქაცის ამბავს გეტყვით და კარგად დაიხსომეთ.



II.

რთს დროს ჩვენა გვყოლია ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე. იმის დროს ყიზილბაშების ყეინად დაჯდა შპა-სუნთან-უსეინ. ამ ყეინმა გამომგზავნა დიდის ჯარით თავისი სარდალი, რომ საქართველოს დაიკავის და თავისად დაიკიროს. დაიძახეს ჩვენშიაც ჯარინობა და თავი მოიყარეს ქართველებმა მტრის დასახვედრად. შეიყარა ორი ერთმანეთზედ სამტროდ გამართული ჯარი საომრად. ერთს მხარეს დაწყენენ ყიზილბაშნი, მეორე მხარეს ქართველები. გაიმართა ომი. რით გათავდა ეს ომი, ამის ამბავი გრძელია. მე მარტო ერთს რასმე გიამ-

ბობთ, რაც ამ ოში მოხდა. როცა გაცხარდა ბრძოლა, მაშინ გამოკვესლა ერთმა ყიზილბაშმა ცხენი და გამოვარდა მოედანზედ რაზმიდან. გაუქროლ-გამოუქროლა ჩვენებს წინ ცხენი, თითქო ჯირითშია და არა ოშიოთ. ეჭყინა ქართველ ყმაშვილობას ასე თამამად და გაბედულად ნავარდობა ყიზილბაშისა. — დახე, დახე როგორ გვბრიყობს?! კაცად აღარ გვაცდებს თუ რა ამბავია, რომ ასე უშიშრად გაგვირბის და გამოვვირბისო, იძახოდნენ.

ჰკრა ერთმა მოსხეპილმა ყმაშვილ-კაცმა ცხენს ქუსლი და ზედ მიაგდო ყიზილბაშმა. ყიზილბაშმა ჰკრა შიგ გულის-ფიცარში შუბი და საბრალო ვაჟ-კაცი ჯერ ჩამოეკიდა ცხენს და მერე უსულოდ დაეცა დედამიწაზედ.

— აი, ქუდიც არა შეურებია, აი დედის ძუძუც არ შემრებია, თუ მაგის სისხლი შეგარჩინოვო, — დაიძასა ახლა სხვამ და მიაგდო ცხენი ყიზილბაშმა. ყიზილბაშმა ესეც ჩამოაგდო ცხენიდამ და უფრო გახალისებულმა გამარჯვებით გაათავაშ-გამოათამაშა ცხენი მოედანზედ. გავიდა მესამე, გავიდა მეოთხე, გავიდა მეხუთე და ყველას ცალკე იგივე დღე და-აყენა თათარმა. ასეთი ყმაშვილი კაცები დაპხოცა, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. შეწუხდა ქართველობა: ეს სირცხვილი როგორა ვჭამოთ, შინ რა სახელით-და მივიდეთო. არ იცოდნენ, რა ექნათ. ყველას შიში და ფიქრი მიეცა. ვეღარავინ ჰბედავდა გასვლას. ის ყიზილბაში კი ათავაშებდა მოედანზედ ცხენს, თითქო ყაბახობაზე გამოსულა და ამოდენა ქართველობა აინუშიაც არ მოსდისო.

— ნიკოლოზ სად არის, ნიკოლოზი! — დაიძახეს ქართველებმა: — ის თუ გვიშველის, თორემ ლამის ამ ურჯულო თათარმა დედაკაცის ლეჩაქი თავზე დაგვეუროს და ისე გაგვისტუროს შინაო.

— ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, ნიკოლოზ! — გაჰკივლეს აქეთ-იქიდამ ჩვენებმა.

გოსტაშაბიშვილი თურმე გაცხარებულ რმში იყო და ამ კივილზე ომიდან გამოვიდა. ჩხის კალთიზე გასისხლიანებულ ხმალსა სწმენდავდა, როგორიც ვდენ ჩვენები და თავისი სირცხვილი უაშეს. გოსტაშაბიშვილი, მართალია, ძალიან განთქმული და სახელოვანი ვაჟკაცი, იყო, მაგრამ მაშინ სიბერე მორეული ჰქონდა და უწინდებურად აღარც მკლავი ერჩოდა, აღარც მუხლი.

— სად შემიძლია მე ეხლა, დაბერებულსა და დაჩაჩანაკებულს, იმასთან ომის გასწორება, — უთხრა ყმაშვილებს გოსტაშაბიშვილმა, — ვერა ჰქედავთ, ახლად ულვაშ-აშლილი ვაჟკაცია, კაცი ლომსა ჰგავს.

— ხუთი ვაჟკაცი მოგვიკლა, იმათ სისხლს ნუ შეარჩენ. იმ ურჯულოსაგან სირცხვილს ნუ გვაჭმევ, — შეევედრენ ჩვენები.

გოსტაშაბიშვილმა ახსენა ღმერთი, აუკრიბა სა-დავე ცხენს და ჰკრა ქუსლი. ცხენმა ერთი ორიოდე კამრა შეჰკრა, ისკუბა და თვალის დახამხამების უმალ ვაჟკაცს წინ დაუდგა. ყიზილბაშმა წამოულერა თავისი შუბი. გოსტაშაბიშვილმა ხელი აუკრა და აიცინა, ეს ისე მარჯვედ მოუვიდა, რომ ქების კიენია დასცეს. მინამ ყიზილბაში მეორედ შეუტევდა შუბით, გოსტაშაბიშვილი ცხენ-და-ცხენ ეცა, წასწვდა, ერთი—ორი ღონივრად შეპბლერტა და ცხენიდან ძირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზედ ადგომა გაუძნელდა. ჩამოხტა ცხენიდან გოსტაშაბიშვილი, ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა:

— ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა • შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშევიღობისა მოგცესო.

— მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ეიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო, — უპასუხა ყიზილბაშმა, სალაში მისცა და წავიდა“.

1880 წ.



წარმატება

იაპობ მანევერაშვილი, რომლის მოგონებასაც ქვემოთ ვათავსებთ, ძველი ფურნალისტი და ლიტერატორია, — ერთერთი თანამშრომელი ილია ჭავჭავაძის „იზერისა“, თავის დროზე საქამიად ცნობილი „ღონ იაგოს“ ფსევდონიმით. იაკობ მანევერაშვილის ეს მოგონება ამოღებულია მის მემუარებიდან.

ჩელაშვილი.

ქართულ საყმაშვილო უურნალ „ჯეჯილშიაც“ დთანამშრომლობდი. ჩევნი გამოჩენილი პოეტები თანუერნალნენ ამ უურნალს. იქ წაიკითხავდით აკაკის, ვაჟა-ფშაველას და ბევრ სხვათა ლექსებსაც, ჩევნი „შიო მღვიმელი ხომ ნამდვილი შიოს მარანი იყო: უხვი, ჟურადი, გულადი. ისე ნომერი არ გამოვიდოდა „ჯეჯილისა“, რომ შიოს თავის ძლვენი, ნობათი არ მიერთო პატარა მკითხველებისათვის. ამათ რომ უურნალი გადაეშალათ და შიოს კატუნიები, ფისუნიები, თავუნები და ჩიტუნები არ ენახათ, გულაცკლულნი, დაღონებულნი იტყოდნენ: ძია შიო რატომ არ არისო?

უურნალის რედაქციის გულთ აკლდა, რომ ილიამ არაფრით სცა პატივი. მე ვიდე კისრად ეს ნაელი შემევსონ და შევუჩნდი ილიას. როგორც იყო დავიყოლიე, ილია დამპირდა პატარა ლექსის მოცემას. მთელი ოვე მომიხდა უკან დევნა, მინამ ილია გაპ-ბედავდა თავის დანაპირის შესრულებას. მომცა თავისი იმ ხანებში დაწერილი ლექსი „ბაზალეოს ტბა“. დიდი სიხარული იყო უურნალისათვისაც და მკითხველებისათვისაც ამ ლექსის დაბეჭდვა. ამის მიზეზს მიხედვებით, ოუ გაიხსენებთ ამ შშვენიერს,



... ქველას ეპინა, დღით ჰუთიჩავს ჩაცა, თითქო დაღლილა მიზაც და ცაცა!...
მხოლოდ კი ერთგან ურემი მიინა
მიზარდებდა, გზას ადვიდებდა;
... მიღის ურემი და უეცრადა
ვილაცამ რეგიდამ ასეუკა ცხენი,
მოვარდა იგი ურემს მეღგრადა,
ვამზოვარე სახის ამაზად მჩენი.

ი. ჭავჭავაძე.

მდიდარს, როგორც გარეგანი ფორმით, ისე აზრიანი შინაარსით ლექსის.

მდიდარია ეს შინაარსი. აქ შეისხა ხორცი იმ ძველთაგანვე ილიასაგან შეტებობილმა იდეამ, რომლითაც იგი იყო შემოჭილი, დატყვევებული. ეს იყო იდეა ქართველი ერას სხინდა, მისი მკვდრეობით აღდგენის. დღესაც ისე ვერ წაიკითხავთ ამ ლექსს, რომ გული არ ავიტოკოთ მისმა სიმშვერიერემ. შეიძლება ბევრს დავიწყებული ჰქონდეს, ამიტომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ. ამ ლექსის ორიოდე ადგილი მაინც გავახსენო მეითხველს.

ბაზალეოსა ტბის ძირას

ოქროს აკვანი არისო,

და მის გარშემო წყლის ქვეშე უცხო წალკოტი ჰყავისო.

ამბობენ, — თაბარ დედოფალს

ის აკვანი იქ ჩაუდგამს,

და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით ტბა კარვად ზედ გაღუბურავს.

ამას კი აღარ ამბობენ,

აკვანში ვინ ჩაწვინა,

ან თვით ერმა თვისი ცრემლი

ზედ ტბად რისთვის დაადინა.

იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,

ვისიც არ ითქმის სახელი,

ვისაც დღე-და-ღმი ჰნატრულობს

ჩემის ნატერითა ქართველი.

ილიას ვუჩენენ დაბეჭდილი ლექსი და ვკითხე, ხომ ლამაზი არის შეთქმი თანაც დავუმატე: ეს გამოცეუნებული არა სჯობს, ვიდრე უჯრაში მაგრად ჩამალული მეთქმი? ილიამ ამაზე ასე თავისებურად მიპასუხა:

— ჩა გითხრათ? მანამ ლექსი ჩემთან არის — ჩემი მგრინია, მანარებს, და რავი დაბეჭდება, საქვეყნოდ გახდება, ისეთს გრძნობას განვიცი, თითქოს გულიდგან საყვარელი, ღვიძლი შვილი მომგლიჯესო,

იქნება, ამითაც აისხებოდეს ის გარემოება, რომ ილია დიდ ხანს ინახავდა კალთის ქვეშ ამოფარებულს თავის პირმშო შეიღებს და მინამ ასაკის ხანში არ შევიღოდნენ, არ იმეტებდა მათ საქვეყნოდ გამოშვებას, როგორც ჩიტი ბულიდგან არ გამოუშევს და არ დააფრენს თავის ბარტყებს, ვიდრე მაგარ ფრთებს არ შეისხამენ.



ი რ თ მ წ ა ც

სკოლის კარების უნახავი, აბრებზე რომ ესჭავ-
ლობდი ანანს, დავეწავე დიდი შეტრლების გონე-
ბის შადრევანს. და განა შემძლო მათ ზორის გვერ-
დი ამევლო ილიასათვის? რა გასაკვირია, თუ მეც
შეწყინა ძალიან, მეც ჩამწყდა გვლი, როდესაც გაის-
მა შეხივით შემძრწუნდებლი ხმა:

„ვიღაც საზიზლებმა წიწამურში მოჰკლეს დიდი
პოეტი და მოაჩროვე ილია ჭავჭავაძე!“

ნანაზი მყავდა ყველასათვის საყვარელი აკაკი
წერეთელი და მთის პოეზის შევარდენი—ვაჟა ფშა-
ველა, არ შენახა მხოლოდ ილია ჭავჭავაძე, რომე-
ლიც ყველგან გრგვინავდა, ყველგან მოწიწებით გაის-
მოდა მისი სახელი.

მე, პატარა ადამიანს, გასაგებია, თუ როგორ მე-
ნატრებოდა დიდი ილიას ნახვა, და ი ვნახე ის
მხოლოდ კუთხში, როცა მისი გვამი მამადავითის
გალავნში არანამდე დაბლა, პატარა მოედანზე დაას-
ვენეს. მე შემწიდროვებული ნალხის რეალი ქლივს
გავარღვიე და დიდი ადამიანის კუბოსთან მოწიწე-
ბით თავი დაეხარე. ესვენა ილია ნათელი სახით,
თოქს მშვიდი ძილით სძინავს.

სამელოვიარო პროცესიას, რომლის თავი ჭავჭა-
ვაძის ქართველი იწყებოდა, ბოლო კი ფედერაციის
მოედანზე (მაშინდელ ერევნის მოედანზე) თავდე-
ბოდა,—მეც აველევნე...

ვინ არ იყო აქ, საგართველოს რომელ კუთხიდან
არ იყვნენ. ყველა დამწუხებული იყო, ყველას სა-
ხელს აღმოუთქმელი კუთხნა ეხატა და თვალებდნის-
ლული მისდევდნენ მათთვის მოჭირნახულეს.

გვირგვინები? ვინ დათვლის! ან ამისათვის ვისა
სკალიან? მაგრამ იმ უდიდეს გვირგვინს კი, რომე-
ლიც ყველაზე წინ მიაქვთ, გლეხებს რომ შეუკრავთ
თვათვებისა და მთლიანი ვაზისაგან, ყურძნის მტევ-
ნები ქარვასაყით რომ ჰქიდია, მზის სხივებით ნა-
კუცნს ქარი რომ ნაზად არხევს, თვალს ვინ მოსტა-
ცებს?

სადაც კი დაასვენებენ გვამს, ორატორები ორა-
ტორებსა ცვლიან. ყველას ხმაში ისმის უსაზღვრო
მწუხარება და მუქარა მევლელების მიმართ!

ქვის გული უნდა ჰქინოდა მკერდში მსმენელს,
რომ არ აქვთინებულიყო ილიას კუბოს წინაშე,
როცა მწუხარებით გაისმა რომელიდაც ახალგაზრ-
დის მიერ თქმული ილიას საყვარელი ლექსი:

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგრ მერცხალი ჰქივის,
ბაზში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები,

მაშულო საყვარელო,
შენ როსლა აყვავები?“

და ამას მეორე მხრივ დაატანა სხვა ხმამ იგივე
ლექსი გადასხვაფერებით:

— ტყე აღარ ისხამს ფოთოლს,
მერცხალი აღარ ჰქივის,
ბაზში ვაზი ობოლი
ლხენით აღარა სტირის!
მთლად გადამხმარა მდელო,
მთებიც მოშურვილია,
მაშულო უბედურო
რად მოგიკლეს ილია?

ილიას გულდათუთქული, მაგრამ ილიასებური
იმედიანობით თქმული ლექსი კი ისევ ომახიანად
ისმოდა:

ჩემო კარგო ქვეყანაც, რაზედ მოგიწყენია?

აწყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!“

დიალ, დიდო ილია! შენი წინასწარმეტყველე-
ბა ასრულდა...

ოქტომბრის რევოლუციის გუგუნში გაისმა ნამ-
დვილი თავისუფლებრი ჰიმნი... განთავისუფლდნენ
ყოფილ აუსეთის იმპერიის კალთებზე მგმინავი ერები.
შეიქმნა ძმური დიალი საბჭოთა ქავშირი, და შენი
საყვარელი საქართველოც მათ ზორის ამაყად დგას!



...მაზირ თორავითი ზლისა ვიზავი,

როცა პატოვება სახლს მოგაზორება.

ზარსევ ძროხაში შე მიერას თავი,

ჩიზე სახლ-პარიზგან ზარაზლეს ზორა.

ჯერ კი დაგლოცი, დაჩაგდება გული,

ყოვენა უმშობლოდ მეპნელებოდა...

სევები ლეიონგლენ, და მე კი ლული

ცხევლისა თვალზედ არა მშეჩოდა.

ი. ჭავჭავაძე.

ღვან მეზავები

ორქა ვიკა ქხრა ჩხის მწი

ერთხელ ვნახე ილია ჩემს სიცოცხლეში.

მაშინ ცხრა წლის ბიჭი ვიყავი.

ილიას სახელს კარგად ვიცნობდი მის ნახვაძისაც.

ქართულ წერა-კითხვაში ნაადრევად ვიყავი გავარჯიშებული ჩემი უფროსი ბიძაშვილების ხელშეწყობით.

ჩემი ბიძაშვილები უბრალო ხელოსნები იყვნენ. უმეტეს წილად შინ მუშაობდნენ. წიგნი ძალიან უყვარდათ, მაგრამ ყოველთვის არ ეცალათ მის საკითხევად.

ამ შემთხვევაში მე ვიყავი იმათი, ნუგეშისმცემელი. თვითონ მუშაობდნენ, მე კი მომისვამდნენ გვერდით და ხმამალლა მაკითხებდნენ, ვიდრე არ დავიქანცებოდა.

ხშირად რაიმე გრძნობიარედ დაწერილ ადგილს რომ წავიკითხავდი, გული ამომიჯდებოდა და ჩემდა უნებლიერ თვალებიც ცრემლებით მექსებოდა.

ასევე უხვად მიღვრია ცრემლი „კაქო ყაჩალისა“ და „გლახის ნაამბობის“ კითხვის დროსაც.

1895 წლის შემოდგომაზე მოწყო ცნობილი მწერლის რაფიელ ერისთავის ობილე. რაფიელის სახელსაც ვიცნობდი, მისი ლექსები დედა-ენისა და „ბუნების-კარის“ ფურცლებს რომ ამშვენებდნენ.

საიუბილეო წირვა გადიხადეს ქაშვეთის ტაძარში.

ეკლესია გაჭედილი იყო ხალხით და ბავშვებს

ვინდა შეგვიშვებდა. მე

კარში ვიღექი და ვე-

ლოდი წირვის გათავე-

ბას. მინდოდა ჩემი

თვალით მენახა ადამი-

ანი, რომლის ლექსები-

დანაც მთელი სტრიქო-

ნები ლრმად იყო აღ-

ბეჭდილი ჩემს მეხსიერებაში.

გათავდა წირვა. ხალხი გამოდის, მე გავიჭეცი და

ეზოს კართან დავდექი. იქიდან უფრო უკეთესად დავინახავდი ეტლში ჩაჯდომისას.

აგრე გამოიყვანეს ჭალარა მოხუცი და ჩასვეს ლია ეტლში.

ეს იყო რატეილი.

ეტლში ჩაჯდა იგრეთვე სრულტანიანი შუახნის კაცი.

მაშინვე ირგვლივ გაისმა ჩურჩული:

— ილია ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძე!

დაიძრა ეტლი.

ეტლთან ერთად მე და ჩემი ამხანაგებიც მოვწყდით ადგილიდან და გავყეო უკან სიხარულით.

ნაწვიმარი დღე იყო. მაშინდელი მოუწყობელი გრლოვანის პროსპექტი ტალახითა და წუმქებით იყო სავსე.

ცხენებს სანაძლეოდადებულებივით მივდევდით უკან ბავშვები ვაშას შეძახილით და განგაშით.

ამხანაგები ჩქარა ჩამორჩნენ.

მე მანც არ დავიღალე და მიესდევ ისევ სიჩბილით. მინდა კარგად შევხედო რაფიელსაც, ილია-საც. მინდა გაჩერებულმა დავინახო იმათი სახე, მაგრამ ვინ მაცლის.

ცხენები მიჰენობენ. მეც მიესდევ უკან არაშეკითხე ბაჭიასავით.

მე რაფიელის ნახვას ვნატრობდი და აქ ილიასაც ვხედავ, ამაზე სასიხარულო რალა უნდა-იყოს ჩემთვის!


აგრე მივიდა ეტლი და გაჩერდა ქართული თეატრის ჭინ.

ვიდრე რაფიელი და ილია ჩამობრძანდებოდენ, მეც მივედი ქაქანით. რა: ვუყოთ, რომ არავინ დამიბარა, მაინც ლობებძვრალისავით შევიჭერ ხალხში და იმდენი მოვახერხე, რომ შევხედე რაფიელსაც და ილიასაც. ასე ვიხილე მხოლოდ ერთხელ ილია ჩემს სიცოცხლეში.



ქ. საჯაია, გ030 პატარებიში

იდიას მთაგანებები



რტურ ლაისტი—გერ-
მანელი მწერალი და ევ-
როპაში საქმაოდ სახელ-
მოხვეჭილი ურნალისტი—
1884 წელს ჩამოვიდა
თბილისში.


მან ჯერ კიდევ თავის სამშობლოში შეის-
წავლა საქართველოს ისტორია და მწერლობა.
ლეიპციგის ერთ-ერთ ურნალში ქართული მწერ-
ლობის ისტორიას უძღვნა ცნობილი წერილიც
კი: „მივიწყებული მწერლობა“ ამით
გერმანელებმა პირველად გაიგეს ქართული ლი-
ტერატურის არსებობა და ხელოვნების მოყვარულ
წრეებშიც დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა შეს-
წავლამ. როგორც ცნობილია, ლაისტს ტფილისში
ჩამოსვლამდე მიწერ-მოწერა ჰქონდა ილია ჭავჭა-
ვაძე სთან, ხოლო საქართველოში მოგზაურობის
შემდეგ მისი ახლო მეგობარი და მთარგმნელი გახ-
და. ერთ თავის მოგონებაში ლაისტი იხსენებს თავის
პირველ შეხვედრებს ილიასთან:

„ტფილისში მხოლოდ ორი კვირა დავყავი, — წერს
იგი. — ამის შემდეგ ვეწვი თავად ილია ჭავჭავაძეს
მის მამულში, საგურამოში. ქართველი მგონის სა-
ხლი მაშინ უფრო ღარიბულად გამოიყურებოდა და
ხევბიც მის გარშემო ჯერ კიდევ პატარა იყო; მაგ-
რამ გარეგან სიღარიბეს ავიწყებდა სტუმარს სახ-
ლის პატრონის და მისი მეუღლის სტუმართმოყვა-
რებობა. მალე ისე შემიყვარდა იქაურობა, რომ დღე-
საც საქართველოს ეს კუთხე განსაკუთრებით მომ-
წონს და მიყვარს. მართლაც, აქ პირველად გადა-
მიშალა თავად ილიამ ქართული მწერლობის საუნჯე,
სალამოობით აიგანებ მიკითხავდა. ქართველი მწერ-
ლების ნაწარმოებს, მისენიდა ქართულ ცხოვრებას,
მიამდობდა ერის წარსულ დროის თავადასავალს...
შორიდან არავის ტებილი დუღუნი გვესმოდა, გაბად-
რულ მთვარის მკრთალი ნათელი ეფინებოდა არე-
მარეს, და ადამიანი, ამ სანახაობით გატაცებული,
თვალს ვერ აშორებდა მთებსა და ველებს. ამ პირო-
ბებში ერთმანეთს უხლოვდებოდა ორი სული,—
ქართველის და გერმანელისა. თავადი ილია გულში
მიღვიძებდა და მიღვივებდა ქართველებისადმი სიყ-
ვარულს, და მართლაც, მას შემდეგ ჩემი სამწერლო

მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი მე ქართულ მწერ-
ლობას შევსწირე“.

სადილზე, რომელიც ილიამ ლაისტის საპატივი-
ცემულოდ გამართა და რომელსაც ესწრებოდა. მაშინ-
დელი მრავალი ცნობილი მწერალი, ურნალისტი
და ქართველი სახოგადო მოღვაწე, მასპინძელმა
უცხოელ სტუმარს ასეთი მგრძნობიარე სიტყვით
მიმართა:

„დღეს ჩენს შორის ბრძანდება უცხო კაცი და
სტუმარი, უცხოა და სტუმარი მარტო იმით, რომ
სხვიდან მოსულა, ხოლო სულითა და გულით ჩვენი
მახლობელია, ჩვენი თავისინია. ამიტომაც ორნაი-
რად სასიხარულოა ჩვენს შორის მისი ყოფნა. ქარ-
თველმა იცის პატივისცემა უცხოსი და სტუმრისა
და უფრო დიდი პატივისცემა თავისი სულით და
გულით მახლობლისა და თავისინისა. მაგრამ ჩვენ
სხვა სიამოვნებაც უნდა მიგვიძლოდეს ამ შემთხვე-
ვაში: ბ-ნი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც
ჩვენდა სასახლოდ კისრად იდა შუაკაცობა გაგვი-
წიოს ჩვენსა და ეკრობას შორის, რომელმაც იტყირთა
ჩვენ გულში ამონაღები სიტყვა, ჩვენი ჭკუტსა და
გონების სუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ლონე აცნო-
ბოს იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმატების
გზაზედა მეთაურნი და მესვეურნი არიან. თუ აქამ-



არტურ ლაისტი



დე შორიდან უყვარდით ბ-ნ ლაისტს, დღეს აქ
მობრძანებულა, რომ ახლო გავიცნოს...“

1885 წელს ლაისტი ხელმეორედ ეწვია საქართველოს. ილიას იგი ძლიერ უყვარდა თურმე და არასოდეს დროსა არ დაიშურებდა მასთან სასაუბროდ. დიდებული მწერალი ხშირად მთელი კვირა ჩიიკეტებოდა სამუშაო ოთახში და ნაცნობ-ნათესავებს არ ეჩვნებოდა, / მაგრამ ლაისტისათვის მისი კაბინეტი მუდამ ლია იყო. როგორც კი დაინახავდა, თავის ახალ ლექსზე ან მოთხოვბაზე ჩამოუგდებდა საუბარს. ლაისტიც დიდად აფასებდა დიდებულ მგოლას. ჯერ კიდევ გერმანიში ყოფნის დროს მან რუსულიდან თარგმნა ილიას ოთხი ლექსი. მასვე აქვს თარგმნილი ილიას პოემები და მრავალი წვრილი ლექსი. მათი ნაწილი ჯერ კიდევ იმ კრებულში დაიბეჭდა, რომელიც ლაისტმა, საქართველოდან გამგზავრების შემდეგ, ლეიპციგში 1886 წელს გამოსცა სათაურით: „ქართველი მწერლები“. დანარჩენი თარგმანები პერიოდულად იძექდებოდა სხვადასხვა გერმანულ ურნალებში.



ლიას ჰყავდა სხვა უცხოელი მეგობრებიც, მათ შორის ყველაზე შესანიშნავია ინგლისელი ქალი მარჯორი უორდროპი, რომელიც პირადად ეწვია საქართველოს, გაეცნ ჩვენს კულტურას და სამუდამო მეგობარი გახდა ჩვენი ქვეყნისა. საინტერესოა ილიას წერილი, ამ ქალისადმი მიწერილი 1897 წელს.

„მოწყალეო ხელმწიფე! დიდათ მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდევილს“ ოქვენი უურადლება მიუქცევია. სასახლოდ მიმაჩნია, რომ მოვიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად...“

გვპირდებით ჩვენში მობრძანებას. სიხარულით დაგიხვდებით და უმორჩილესად გთხოვთ წინადვე გვაცნობოთ როდის ან რა გზით მობრძანდებით. იმდედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგნახვებთ, რომ იგი ლირიკა თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა.

თქვენი მობრძანების სიხარულით მომლოდინე და ღრმად პატივისმცემელი ილია ქავჭავაძე“.

მ. ურალორმა „განდევილი“ გამოსცა ლონდონში 1895 წ. ცალკე წიგნად, რომელსაც მთარგმნელის წიასიტყაოსა ახლავს. ურალორმა მკითხველებს დაწერილებით აცნობს ილიას ბიოგრაფიას და იქვე თავის აზრს გამოთქვას მისი შემოქ-

მედების შესახებ. განათლებული ინგლისელი ქალი განცვიფრებაში მოყავს ქართველი მგოლის სიტყვიერი მასალის სიღრმეს და მის უბრალოებას, ზედმიწევნით იწონებს მის სტილს და წერის მანერას.

ურალორმა ისე, როგორც ლაისტი, ილიამ მოიწვია საქართველოში. იგი და არის ინგლისელი დიპლომატის ოლივერ უორდროპისა, რომელმაც მოიარა ჩვენი ქვეყანა და დაწერა წიგნი: „საქართველოს სამეფო“. მარჯორი პირველად ამ წიგნით გაეცნო საქართველოს და დაინტერესდა მისი ლიტერატურით. დაუღალავი მუშაობით მან მოკლე დროის განმავლობაში შესანიშნავად შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა. გარდა „განდევილისა“, მან ინგლისურად გამოსცა: „ქართული ხალხური ზღაპრები“, „ცხოვრება წმინდა ნინოსი“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“. მარჯორი განსაკუთრებით თაყვანს სცემდა შოთა რუსთაველს და მისი უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს მოადგმა მოელი ათი წელიწადი. ილია ყოველმხრივ ეხმარებოდა მას და აძლევდა თავის ჩევევა-დარივებას.

უკანასკნელ ხანებში აღმოჩნდა, რომ ილია თარგმნილია უნგრულ ენაზედაც. თარგმანი ეკუთვნის ბუდაპეშტის სამეცნიერო აკადემიის წევრს პროფ. ბელა ვიკარს. ეს პროფესორი დიდი მოყვარული და პატივისმცემელი ყოფილა ქართული ლიტერატურისა. აქუადგილოარ იქნებოდა მოგვეყანა ერთი ქართველი პროფესორის მოგონება ბ. ვიკარის შესახებ.

„...ამ პროფესორს მე შევხვდი ქ. ბუდაპეშტში. მე სიტყვა „ვეფხისტყაოსანზე“ ჩამოვუგდე. მის ალტაცებას საზღვარი ამ ჰქონდა, როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ ვასხენ. „იცით რა გითხრათ? — მითხრა მან და ტუჩები ყურათა ახლო მომიტანა.“

— მე თქვენი „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენს ენაზე ვთარგმნე, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა ჩვენებურად ვთარგმნე აკრეთვე მრავალი ლექსი ილია ქავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ვაჟა ფშაველასი, ნიკოლოზ ბარა-



თაშვილისა („მერანი“) და რაფიელ ერისთავისა. მე თქვენს ლიტერატურას ვაცნობდი ჩვენს ხალხს.

— თქვენ იცით ქართული ენა? — ვკითხე გერმანულად გაკვირვებულმა.

— აბა მიყურე, თუ არ ვიცი, მითხრა და სხაპასხუპით უცებ წაიკითხა ილიას ლექსი:

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჰჭყივის,
ბალში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

მე სახტად დავრჩი. გამაოცა ამ მოხუცებული პროფესორის ასეთმა კარგმა მეხსიერებამ... “ცხალია,

დიდად აფასებდა ეს სახელგანთქმული ჟურნალის ილია ჭავჭავაძის პოეზიას.

ილია თარგმნილია რუსულადაც. ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე ითარგმნა „განდევნილი“ და სხვა მრავალი ლექსი, ამჟამად კი ილია ჭავჭავაძის თითქმის მთელ შემოქმედებას იცნობს რუსი მკითხველი. ცნობილი საბჭოთა მწერლები მუშაობენ საბჭოთა ქვეყნის ყველა ენაზე ილიას თარგმნისათვის.

ილ. ჭავჭავაძის პოემებსა და ლექსებს უკრაინულ ენაზე თარგმნიან უკრაინის გამოჩენილი პოეტები პავლე ტიჩინა და მიკოლა ბაჟანი.

ილიას ლექსები თარგმნილია აგრეთვე ფრანგულად, სომხურად და სხვა ენებზე.

○ ○ ○

IIII ჭავჭავაძე

I

ამოწვდილს ხმალსა მტრისასა
წინ შიაგებე ფარიო,
დროშედ ნახმარი ფარიცა
ივივე ხმალი არიო.

II

ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშეიღობაინი
კალმის პატარა წვერიო.

III

თუ სახელის შოვნა ვინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობით სთქვას:
ნანერგითა შენით მარგე.

IV

ვაჟკაცად იმას არ ვაქებ,
ვინცა სისხლისა მლვრელია,

ვაჟკაცად იგი მიქია
ვინცა უბედურთ მხსნელია.

V

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენ თავს ჰკითხო,
აბა მე დღეს ვის რა ვარგე?

VI

არა, არ ვუქებ ვაჟკაცსა
კაცთა მუსერას და ომსაო!..
ვაჟკაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო;
ვინც არ შეუდრევა მრავალსა,
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგა ლომსაო.

ჩირ იღიას!

გაზაფხულდა მზის სხივებმა
ფანჯარიდან შემოგვცინეს,
ბუჩქზე მჯდომარე ბულბულებმა
ვარდის ეშნით მლერა იწყეს.

დილის ცვარი მინდორ-ველზე
ყვავილებში დაბინავდა,
უკვე ყვავის ის მამული
შენს დროს მწარედ რომ გმინავდა.

შენი ხსოვნის ნათელი დღე,
გაზაფხულთან ერთად დადგა,
მშრომელ ხალხის სიყვარული
დიად მგოსანს სხივად გადგას.

დღეს საბჭოთა საქართველო
შენ დიდ სახელს იხსენიებს,
ჩვენ ბავშვები—ლამაზ ქვეყნის
გადმოგაფრქვევთ ვარდს და იებს.

რუსეთი აგლაძე.

1-ლი სკოლის მე VII კლასის მოწაფე.

○ ○ ○

აკვრა მიყვაჩე იღია


ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს ყოველთვის გან-
საკუთრებული ხალისით და დაკვირვებით ვკითხუ-
ლობ. მის შემოქმედებიდან ყველაზე უფრო მო-
მწონს: „კაკო ყაჩალი“ და „კაცია ადამიანი“?

შესანიშნავია „კაკო ყაჩალი“ იმით, რომ ამ პოე-
მაში ილია ნათელფერებით გვიხატავს უუღმართ
წარსულს-ბატონყმობას, რომლის წინააღმდეგ აქტი-
ურად იბრძებან შეგნებული გლეხობის წარმომადგენ-
ლები კაკო და ზაქრო.

„კაცია ადამიანში“ ილია ახასიათებს მებატო-
ნეთა ყოფა - ცხოვრებას. მათ უსაქმობას ლამაზი
სატირის მომარჯვებით ის საუცხოვოდ გვიშლის. მიყვარს ილიას ლამაზი ენა, მისი მოხდენილი სა-
ტირა, რომლითაც შეუბრალებლად გაამათრახა
უსაქმურობისაგან გონებადაჩრდუნგებული, გადაგვა-
რების გხაზე დამდგარი ფეოდალური წოდება.

თოვრი ცხოველიძე.

მე-15 საშუალო სკოლა.



უკვლევ მგოსანს!

ის ხწერდა ლექსებს, ხწერდა პოემებს,
სანაზ არ მოხვდა მტრის ტკია კრული.
მოკლეს ქართველი დიდი პოეტი
და საუკუნოდ მიყუჩდა გული.

* * *

მაგრამ სიკვდილმა მაინც ვერ მოკლა
შემოქმედება შისი — დიალი,
მისი ლექსები და პოემები
დღესაც გვინათებს ვით განთიადი.

ო. ჭიშკარიაშვილი.
კოჯირის საბავშო ახალშენის პიონერი



ჩვენ ვსეავლობთ ილიას


ეს იყო ამ ოთხი თვის წინად. პიონერულ რაზმის შექრებაზე ჩვენ — მე-15 სკოლის მე-3 რაზმის პიონერებმა მივიღეთ სასიხარულო გადაწყვეტილება: გავშალოთ სამზადისი დიდი ქართველი მწერლის — ილია ჭავჭავაძის საუბილეო დღეებისათვის, ღრმად შევისწავლოთ ამ საყვარელი მწერლის ცხოვრება და შემოქმედება.

და ეს გადაწყვეტილება ჩვენ ქალალზე როდი დავტოვეთ! პიონერულ სიტყვას საქმეც მოჰყვა.

მთელ სკოლაში უჩვეულო ფაციული გაჩალდა. ზოგი სპეციალურად ილიასადმი მიძღვნილ კედლის გაზეთის გამოცემაში ჩაება, ზოგი ლექსს სწერს, ზოგი მოხსენებას ამზადებს ილიასადმი მიძღვნილ სადამოსათვის. ზოგიერთები კი აღმოს ამზადებენ, სადაც მოთავსებული იქნება ილუსტრაციები ილიას ნაწარმოებებიდან. ილიას დღეებთან დაკავშირებით თვითეულმა ჩვენთაგანმა გულდასმით წაიკითხეთ ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ნაწარმოებები: „პასუხის პასუხი“, „კაცია ადამიანის“ ყველა ვარიანტი და რამოღენიმე პუბლიცისტური წერილი.

კიდევ უფრო გულდასმით, დაბეჯითებით ვისწავლით ჩვენს საყვარელ მწერალს — ილია!

15 საშ. სკოლის მე-3
პიონერთა რაზმი.



ილიას ნაზარეთის გამოცემა.

პიონერული აქტივისათვის

კ ა ნ თ ს ვ თ ხ დ ი


შეადგინა მ. მამულაშვილია

სიტყვები ვერტიკალურად:

- შარწერა ანუ რეკლამა.
- მცენარის მჩხვდეტავი ნაწილი.
- განთიადი.
- ადამიანი.
- ქლის სახელი.
- რაიმე სექციალობის დარგში ძველი
თანხის შემცველელი ახალი თანხა.
- სურნელოვანი მცნარე, ხმარობენ სა-
ჭმელში.
- ქალის სახელი.
- გ. წერტლის მოთხრობის გმირი ქალი.
- უდიდესი ქართველი პოეტის სახელი.
- ილიას მოთხრობის გმირი.
- 6 ოთხი.
- კაცის სახელი.
- რიცხვი.
- შესაძლებელი სიტყვა.
- საქართველოსა და ამიერკავკასიაში
მცხოვრები პატარა ტომი.
- ქალის სახელი.
- სცენაზე რა უნდა შეასრულოს მსა-
ხიობმა.
- კომში.
- სიძულვილის გრძნობა.
- ნიადაგის ზერელედ მოხვნა.
- კანის წანაზარდი.
- ქაღალდის პირი.
- ძველი ქართული ისტორიული ძეგლი,
ახლა თურქეთის საზღვრებში მოქცეული.
- ყაიმი.
- აღმოსავლური მაყალი, საბნებშემო-
ხვეული.
- მთაცებელი ფრინველი.
- ბაირალი.

სიტყვები ჰორიზონტალურად:

- კარავთა ჯგუფი.
- ნაცია.
- მანქანის ჩონჩხი.
- ცხენების დამშედავი.
- უყავილი.
- კაცის სახელი.
- ადამიანის სხეულის ნაწილი.
- ძველი ქართული მუსიკალური ინს-
ტრუმენტი, ნახსენებია „ვეფხიან-
ტყაოსანში“.



- დაბა დასავლეთ საქართველოში.
- რა ეწოდება პატარა მდინარეს?
- სასმელი.
- ნოტი.
- სოფელი აღმოსავლეთ საქართველო-
ში, ილიას სამშობლო სოფლის
ასლობ.
- საცხოვრებელი ბინა
- კაფესის მაჭადიან მთიელთა სოფ-
ტები.
- მოთხრობა „მამელუკის“ ავტორი.
- ილიას მიერ თარგმნილი ბუვიეს რო-
მანის სახელშოდება.
- შორისდებული.
- ირანელების ღვთაება.
- საბანებელი ადგილი.
- ხორბლის ერთი ჯიში.
- რა ეწოდება პატარა მდინარეს?
- ურყოფა.
- ნოტი.
- არაბების მმართველი.
- ავლაბრის სახელი ძველად.

პიონერი

სალიცადი გათობის
ერთობლივი

საქ. ალკე ცენტრალური კომიტეტის დაცვითი
განსახურის ერთობლივი შურინალი.

1937 წ.

№ 5

ხა. ქ. 3. (ბ) ც. კ-ის ვაშომიც.—„კომუნისტი“. რედაქციის მიხამართის: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34. ტელ.—3—02—61

მინახსა

	88.
1. დ. გრეჩვილი—ილია ჭავჭავაძე (წერილი)	1.
2. გ. აბაშიძე—ილია ჭავჭავაძე (ლექსი)	3.
3. გრიგოლ არაია—პოეტის დალუპება (ლექსი)	4.
4. ილია ჭავჭავაძე—ნიკოლოზი, გოსტაშაბიშვილი (მოთხოვბა)	5.
5. იაკობ განევითავვილი—წარსულიდან (მოგონება)	8.
6. სეზარ ერთაჯანდელი—ღიდ ილიაზე (მოგონება)	9.
7. ლევან გერებელი—როცა ვიყავ ცხრა წლის ბიჭი (მოგონება)	10.
8. ქ. საჭაოა, გიგი კაპაბიძე—ილიას მთარგმნელები	11.
9. ილია ჭავჭავაძე—დამიაკირდი	13.

პიონერთა შემოქმედება

10. რუსეთ აგლიძე—ღიდ ილიას	14.
11. ეთერი ცერემონია—რატომ მიყვარს ილია!	14.
12. ო. ჯინარაძე—უკვდავ მგოსანს	15.
13. ჩვენ ვსწავლობთ ილას (პონერთა წერილი)	15.
14. ქროსევორდი—შედგენილი გ. გამულავვილის მიერ	16.

ილიას ფერიდი პორტრეტი—მხატვარ გ. გაგაშვილია

პასუხისმგებელი რედაქტორი დ. მარიაშვილი

პასუხისმგებელი მდგრადი ელ. აგლაძე

შურინალი გაფორმებულია მხატვრების ა. ქოქიაშვილის

და გ. ჯაფოშვილის მიერ.

නිකුත් කිරීමේදී දී. මුද්‍රණීය ප්‍රතිපාදන



— “දාරුවාන්, එදා, තු වැට්ටාන් දුරදා-
ජාල නාර, ඝාතා ප්‍රාන් ච ම තු ප්‍රාන් දුරදා-
ජාල නාර මුද්‍රා තිබූ?”

(“දාරුවාන් දුරදා ජාල නාර මුද්‍රා”)